კანზე: „ი. გრ. 9. X“. იქვე: „ტ. ტაბიძეზე, 275“.

გვ. 31. ხაზგასმულია: „მოტორი – ტრანსფორმატორი“, მიწერილია: „არ შეიძლება ორი უცხო რითმა“.

გვ. 73. მოხაზულია ორი სტრიქონი, მიწერილია: „ა. შანშიაშვილის მიბაძვა“.

გვ. 218. ხაზგასმულია: „პირველად სანდროს (ყაზბეგი) ნაწერებიდან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი „ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა“, მიწერილია: „მგონი პირველად „ივერიაში“ დაიბეჭდა“.

გვ. 271. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ეს ვ. კოტეტიშვილის აზრია“.

გვ. 275. ხაზგასმულია: „ჰაჯი მურადს“ არ ეღირსა დაბეჭდვა იმიტომ, რომ ის თარგმნა ენის უცოდინარმა „დიდმა“ პოეტმა და ახლა მას ერთი პედაგოგი ასწორებს“. „პოეტთან“ მიწერილია: „ტ. ტაბიძე“. მოხაზულია: „ერთი პედაგოგი“, მიწერილია: „ვინ? შ. თაბუკაშვილი“.

გვ. 276. ხაზგასმულია: „ამ თარგმანს კი როგორც სჩანს, რედაქტორის კალამი არ უგრძვნია“, მიწერილია: „ეს რომანი ქართულად გადაბეჭდილია პირველ გამოცემიდან, რომლის რედაქტორიც იყო გრ. ყიფშიძე (იხ. I გამოც. ყდა)“.

გვ. 280. ინიციალებთან: „ი. მო-ლი“, „ი. მოსაშვილი“.

გვ. 282. ინიციალებთან: „ნ-ამე“, „პ. ქიქოძე“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 22. XI. 1928“.

გვ. 188. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ტიციანი ცოტა მშიშარაა და მითხრა: წამო, წამო, წავიდეთო! (ასე სთქვა ხელოვანთა სასახლეში მოხსენების დროს)“.

კანის მე-3 გვ. დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი შ. კ.-ის რეცენზია „მნათობი“-ს ამ ნომერზე, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1928, № 425, 1 იანვ“.

№ 11–12

კანზე: „ი. გრ. 1929, 14. I“. იქვე: „ბოლოში მთელი წლის სარჩევია“.

გვ. 11. ხაზგასმულია სართიმე სიტყვები: „დაშლას – დაშნას“, არშიაზე: „ჩემი. იხ. „კავკასიონი“, № 1“.

გვ. 219. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ს. გორგაძემ სთქვა პირველად“.

გვ. 234. ხაზგასმულია: „ნიტკის ძაფი“, არშიაზე: „იხ. ჩემი ბოჰემა“.

1929

№ 1

კანზე: „ი. გრ. 1929. 14. II“. იქვე: „მ. ჯავახიშვილი ქართულ ენაზე. ტიციანი და სხვ. გვ.: გარსევან ჭ-მე და ალაღარი, გვ. 81; რ. ქორქიას მოთხრობა, გვ. 69“.

თავფურცელთან დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი C. T-ის რეცენზია „მნათობის“ ამ ნომერზე, მინაწერით: „Заря“, 1929, 24. III“.

გვ. 11. მოხაზულია: „ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე“, მიწერილია: „ძველია (იხ. ა. ჭ-მე)“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „შვილი მამის ქვაზე ავიდოდა და ხელადით, ბაღდადით, ზურნით და სიმღერით იცეკვავდა“, მიწერილია: „ხოჯაბეგოვის სურათიდან, იხ. ჩემი „ბოჰემა“. მოხაზულია: „გამბით“, მიწერილია: „გამბით? გამბით იმერულია (კორექტურაა?)“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „ბალიშად ალერდი მიდევეს, საფლავის ქვა კი ლეიზად გამიხდია“, მიწერილია: „ალერდი ბალახია, რომელიც ეხვევა ხეს და სასაფლაოზე არ იზრდება. (საბას აქვს ალერდი „ხმელი თივა)“.

გვ. 22. მოხაზულია: „ორი საათის შემდეგ“, წერია: „კარგადაა დაწერილი, ნამდვილი ბელეტრისტული ხერხები აქვს – გემოვნება რომ ჰქონდეს. ი. გრ“.

გვ. 24. მოხაზულია: „ნადუმარი“, მიწერილია: „ეს „ნა“ ძალიან უყვარს (ნაკაცარი და სხვა) აქ ნადუმარი სხვა აზრითაც გამოითქმის. ი. გრ“.

გვ. 28. მოხაზულია ადგილი, წერია: „ეს გივი შადური რა ტიპია, ვერ გავიგე“.

გვ. 31. მოხაზულია: „კვიატივით ამედევნა“, მიწერილია: „ამეკვიატა სთქვი რაღა, დალოცვილო, უბრალოდა“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „გააწახნაგებენ“, წერია: „ეს შლიფოვკა“ აქ უადგილოა, გადასთლიან. წახნაგი ოქრომჭედლებმა იციან“.

გვ. 41. მოხაზულია: „ნიშატი“, მიწერილია: „ნიშატი სხვაა, ნიშანი სხვა (ნიშატი – მხიარულებაა, ქეიფი). თუმცა საბა ამბობს: „ნიშატი ხასიათიაო“, გვ. 230“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „გულზე ნატისული ამდის“, მიწერილია: „ილია ხმარობს „ნატისუსალი“. აქ ეს სიტყვა არ ვარგა“.

გვ. 46. ხაზგასმულია: „პროგრამა-მაქსიმუმი“, არშიაზე: „ზევით ჩაფარებაზე სთქვა, აქ პროგრამა-მაქსიმუმი. სტილი აირია“.

გვ. 69. ავტორის გვართან წერია: „კარგი მწერალია, მაგრამ მოთხრობის ხლართი ხშირად ყალბი აქვს. ი. გრ“.

გვ. 76. ხაზგასმულია: „წევს სტეფანე სასტუმრო ოთახში ტფილისში და ფიქრობს.“ მიწერილია: „ტფილისში? მაშ სტეფანე სხვა ქალაქელი ყოფილა“.

გვ. 78. დასასრულს მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „რა კარგად იწყობს და რა ცუდათ ათავებს“.

გვ. 111. ეპიგრაფთან: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!“ მიწერილია: „სახიფათო ეპიგრაფია. ი. გრ“.

გვ. 137. ხაზგასმულია: „ს. შანშიაშვილმა 1928 წელს, რამდენიმე სპეციალურად კომუნისტური კრიტიკის წინააღმდეგ მიმართული ლექსები დაბეჭდა“, მიწერილია: „იხ. 1928 წლის „პოეზიის დღე“.

გვ. 151. მოხაზულია ლექსიკონიდან მოყვანილი სიტყვები, წერია: „ვისი ლექსიკონებიდანაა აქ ნახმარი სიტყვები. მხოლოდ ჩემი ლექსიკონებიდან არის. იხ. „ბოჰემა“. რომ მოგყავს, აღნიშნე რაღა „ბოჰემა“.

გვ. 155. ხაზგასმულია სიტყვები: „ფარღული, გულქანდა“, მიწერილია: „იხ. ჩემი ბოჰემა „ამბარჩა“, ი. გრ“.

გვ. 156. მოხაზულია გვერდი, წერია: „ტიციანისაა“.

გვ. 158. ხაზგასმულია: „საბრუნავი ხარისხები – оборотные средства – თანხა“, არშიაზე: „აკაკის აქვს „ძირის ფული“ (იხ. „კვალი“).

გვ. 159. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „პარალელისთვის. „პატარა სახელმწიფოს თეატრი“ (ასე დააწერა იუზა ზარდალიშვილმა იმ აბრას, რომელიც მიკრული იყო რუსთაველის თეატრის პირდაპირ რომ თეატრია იმის კარებზე (დიდი წინადადებით)“.

№ 2–3

კანზე: „ი. გრ. 2. IV. 1929“. იქვე: „აქ სარჩევია (1924–1928). რ. ქორქიას მოთხ., გვ. 49“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „აგური – ამხანაგური“, მიწერილია: „ჩემი რითმა, იხ. ოვ. თუმანიანის „საქართ. პოეტებს“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „სადაც არასდროს არ აეწვება, პირხმელ იმერელს სირცხვილით ლოყა“, მიწერილია: „ჩემი „გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „ნატუჩარი“, მიწერილია: „ჩემი სიტყვა, იხ. „ლეილა“-ში № 3 „ჩემს ცოლებს“.

გვ. 49. მოთხრობის „ვარდი და ცოცხი“-ს სათაურთან: „კარგია“.

გვ. 287. ფსევდონიმთან: „უ. ურდოელი“, „კ. გამსახურდია“.

ბოლო ფურცელზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი არბიტრის რეცენზია ამ ნომერზე, მინაწერთ: „Заря“, 1929 წ., 14 მაისი, № 106“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. აქ საბას ლექსიკონისთვის, გვ. 230; ა. ჭ-ძეზე, გვ. 180“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1929. 12. V“.

კანის ბოლო გვერდზე: „ქართული იუმორი“.

№ 5–6

კანზე: „არსენა“.

№ 7

კანზე: „ი. გრ. ევპატორია. 1929. 25 აგვისტ. ევპატ“. იქვე: „სომხურიდან, გვ. 119, 108; ტ. ტ-მის „სომხეთი“, გვ. 207; „ფიჩხულა“, გვ. 73–74; „ოქროს ფეხი“ და ქუჩიშვი., გვ. 219“.

გვ. 32. მოხაზულია: „მიჭვრიტაში ჩახედა თვალებს“, მიწერილია: „სარკე, (ძველებურად) „მიჭვრიტინა“.

გვ. 73. მოხაზულია სიტყვა: „დაქოქილი“, არშიაზე: „დაქოქილი (ქოქი – ძირი“), იქვე მოხაზულია: „ერთი უყურეთ რა ბედრანგათ იცინის“, არშიაზე: „ბედრანგა – უფერო“.

გვ. 99. ხაზგასმულია: „ვის არ მოუთხოვია მათგან საბედისწერო წიგნი, რომ ჩაეწერა შიგ საჩივარი შევიწროების და უწესრიგობის შესახებ“, მიწერილია: „მაშინაც ყოფილა საჩივრის დავთრები?“.

გვ. 129. ხაზგასმულია: „უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს“, ი. ვაკელის ლექსიდან „საქართველოზე“, მიწერილია: „ქარხანა არც ჯონჯოლია და არც ვარდის კონა. ი. გრ“.

გვ. 207. აზვაცში „ოვანეს თუმანიანის იუბილე სანახევროთ ქართველმა მწერლებმა გადაიხადეს ტფილისში“, მიწერილია: „ვინ სახელდობრ?“ მოხაზულია: „ო. თუმანიანი ხშირად მართავდა ქართულ მწერლობის შესახებ მოხსენებებს, ზოგიერთ ამ მოხსენებას ისტორიული ხასიათი ჰქონდა“.

გვ. 220. კრიპტონიმთან: „გ. მ-ლი“, „გ. მუშიშვილი“.

გვ. 222. ფსევდონიმთან: „მოსკოველი“, „მუშიშვილი“.

კანის ბოლო გვერდზე: „шрам – ნაშაშრი“.

№ 8–9

კანზე: „ი. გრ. 30. X“. იქვე: „ორი სტილი. ვ. ხუროძე. „ქვრივის ლიმონები“, 184“.

გვ. 184. მოხაზულია: „ქვრივის ლიმონები“ „შრომამ“ გამოსცაო, არშიაზე: „შრომას“ არ გამოუცია“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 1929. 28 ნოემბ“. იქვე: „ფარშევანგის კუდი?“ გვ. 36. რემარკის მოთხრობა, 117. კ. გ-ს თარგ“.

№ 11–12

კანზე: „ი. გრ. 1930 წ. 25 იანვარს გამოვიდა“.

გვ. 266. ხაზგასმულია ეკ. მესხის შესახებ ცნობა: „გარდაიცვალა 1928 წ.“, მიწერილია: „ეწეოდა მთარგმნელობას, თარგმანი აქვს“.

გვ. 278. მოხაზულია: „ხელნაწერში დარჩა“, არშიაზე: „რა ქართულია?“ ხაზგასმულია: „გ. წერეთლის ეს კომედია მართლაც ყოფილა წარდგენილი, როგორც „დროების“ ნომრებიდან სჩანს 1880 წ. დრამატიულ საზოგადოებაში“, მიწერილია: „რომელ №-რიდან?“

1930

№ 2–3

კანზე: „ი. გრ. აბაშელის მოთხრობა“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1930. 24. IV“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1930. 27-ს მაისს გამოვიდა“.

თავფურცელზე: „აკაკის „ვორონცოვის“ გამო, 182“.

გვ. 8. მოხაზულია წერტილებით აღნიშნული სტრიქონი, მიწერილია: „იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930 წ., 28 მაისის“.

გვ. 183. ხაზგასმულია: „აკაკის პოემა „ვორონცოვი“ მკითხველ საზოგადოებისათვის უცნობია. იგი 1912 წ. უნდა დაბეჭდილიყო აკაკის ნაწერების პირველ ტომში, მაგრამ ცენზურამ აკრძალა. ამჟამად ჩემ ხელთ არის ცენზორის მიერ აკრძალულ პოემის ამონაბეჭდი“, მოხაზულია „პირველ ტომში“, მიწერილია: „მეორე აკრძალულ პოემის ამონაბეჭდი“, იქვე: „პირველად ხომ მე მოგეცი დასაბეჭდათ წერილითურთ და არ დაბეჭდე ეს პოემა? – ი. გრ“.

№ 7

კანზე: „ი. გრ. 1930. 15 სექტ“. იქვე: „ფედერალისტთა კლუბი, გვ. 36“.

გვ. 36. ხაზგასმულია: „მაგიდასთან ისხდნენ: კრების თავმჯდომარე ს. ფირცხალავა, მის გვერდით გ. ლასხიშვილი, რევაზიშვილი, გენადი, სათვალეზიანი კაცი და სხვა“. „რევაზიშვილთან“ მიწერილია: „ი. გედევანიშვილი“, „სათვალეზიანი კაცთან“, „ქ. რაჭველიშვილი“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „სიტყვას ამბობდა რუსეთიდან ჩამოსული ძველი სტუდენტი“, წერია: „მ. საყვარელიძე“.

კანის ბოლო გვ.: „ქალო მაყვალში ძვრებოდი, თვალეზი მაყვალივით გაქვს“.

№ 8–9

კანზე: „ი. გრ. 1930, 20 ოქტ“. იქვე: „გ. ტაბიძე. მე გადავეცი ეგ წერილი, გვ. 217“.

გვ. 4. სტროფის გასწვრივ არშიაზე: „ცვეიგი“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „ასეთ „მებრძოლთათვის“ მიმიფურთხებია“, მიწერილია: „იხ. ჰაზირა“.

გვ. 7. მოხაზულია: „დავტოვოთ წარსულ დროებაზე დარდი“, მიწერილია: „ილია“.

გვ. 193. ფსევდონიმთან: „თომაზ ბორელი“, „პლ. კეშელავა“.

გვ. 217. სქოლიოში მოხაზულია: „ეგ. ნინოშვილის წერილი ვარ. ჭიჭინაძესადმი დაბეჭდილია „გრიგალში“, № 10, 1906 წ.“, მიწერილია: „ეს ნომერი აიკრძალა“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 1931. 21. I“. იქვე: „ეგნატე ნინოშვილი, გვ. 196“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში წყალში დაღუპულთა სულს ამგვარად იჭერენ და შემდეგ სამარეში ჩაუშვებენ, რის შემდეგაც მიცვალებული მოისვენებს და ჭირისუფალს აღარ აწუხებს“, მიწერილია: „იხ. მორდოვცევის მოთხრობა „ამირანის შვილნი“.

№ 11–12

კანზე: „ი. გრ. 1931. 10. II“. იქვე: „აქ სარჩევია 1930 წლისა“.

1931

№ 1–2

კანზე: „ი. გრ. 1931. 8 აპრ. ჩემზე, გვ. 223, 232. სრულია 1931“.

გვ. 3. მოხაზულია ორი სტრიქონი: „ჩემ მძიმე ლექსებს, მძიმეთ ნაამბობს, ეგებ არა აქვს სიმძლავრე რკინის, მიწერილია: „ი. გრ“.

გვ. 219. ხაზგასმულია: „საკმარისია ჩამოვთვალოთ ისეთი ანტი-საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოები, როგორც იყო: „ილიონი“, „ლაშარი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ხომალდი“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“, „კავკასიონი“ და სხვა, რომ წარმოვიდგინოთ პროლეტარული რევოლუციის მოწინააღმდეგე ფრონტის მწერლობის სახე და ხასიათი“, მიწერილია: „ბარიკადი“, „ბახტრიონი“ რად გამოსტოვებ“.

გვ. 234. წერილის სათაურთან „საქართველოს მხატვრული კულტურა ათი წლის თავზე“, მიწერილია: „უმარჯანიშვილოდ?“

გვ. 248. სარედაქციო კოლეგიის წევრ მწერალთა გვარებთან მიწერილია: „რ. გვეტაძე“.

№ 3

კანზე: „ი. გრ. 1931, 1 მაისს გამოვიდა“.

გვ. 3. ლექსთან „15–10“, მიწერილია: „ამ ყაიდაზე, ასე უნიჭოდ დააწყო პ. მირიანაშვილმა „ფაუსტი“.

გვ. 217. ავტორი წერს კარიკატურაზე, რომელიც 1917 წ. დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დამატებაში“.

გვ. 219. მოხაზულია: „ვ. ბ-ლი“, მიწერილია: „ვ. ბუთლიაშვილი“. ხაზგასმულია: „დაახლოვებით მართლდება თითონ ფიროსმანის ცნობა, რომელიც 1916 წელს მისცა დიმიტრი შევარდნაძეს „მე ეხლა 60-ზე მეტისა ვიქნებიო“. იხ. გაზ. „ბახტრიონი“, № 9“, მიწერილია: „იხ. „სახალხო გაზეთი“.

გვ. 227. ხაზგასმულია: „იმ ოჯახიდან გამოსვლის შემდეგ მხატვარ ბაშინჯადიანთან იდგა მოსამსახურეთ, მაგრამ ნიკომ ვერ აიტანა და გამოიქცა“, მიწერილია: „შეიძლება ამასთან ისწავლა ხატვა?“.

კანის ბოლოს გვ.: „I. ხალთაბანდი, 222. 2. მუშტა, 223. 3. ლაღანდარა, გვ. 224. 4. ბალახანა, 228. 5. საბრი, 226, 221, ცხრაწვენა“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1931. 10. VI“. იქვე: „გრიშაშვილ-იაშვილები“ ფ. მახარაძე, გვ. 207“.

გვ. 3. გადახაზულია სტრიქონი: „რამაც ხალისი ამოათავა“, წერია: „რამაც ხანდახან (ამდენხანს) დამაზანტავა“.

გვ. 12. სტრიქონთან: „და იცქირება შორით მეტეხი, რომელიც ახლა მუზეუმი“, მიწერილია: „1931 წელს??“

გვ. გვ. 48–49 შორის დევს გაზეთიდან ამოჭრილი ფარის რეცენზია მნათობის 1931 წლის ოთხ ნომერზე, მინაწერით: „მუშა“, 1931, № 184“.

№ 5–6

კანზე: „ი. გრ. 1931. 21. VIII. მარიჯან-ბორჯომი“. იქვე: „საიათნოვაზე, გვ. 178; დემირჩიანი; 128“.

გვ. გვ. 6–7 დევს გაზეთიდან ამოჭრილი ალ. გომიაშვილის ლექსი „მთას იქით“, მინაწერით: „ახ. კომ.“, 1931, 20 აგვისტო“.

გვ. 17. სტრიქონში: „მადაროელო! როდესაც კირკით“, ხაზგასმულია: „კირკით“, მიწერილია: „წერაქვი?“

გვ. 139. აბზაცის გასწვრივ ფანქრით: „შეიძლება ჭადრაკის თამაშის დროს ბაასი?“

გვ. 160. მოთხრობის დასასრულს ფანქრით: „თარგ. რუსულით ალი არსენიშვილისა“.

№ 7–8

კანზე: „ი. გრ. 1931. 12. X“.

გვ. 3. ლექსის „შაბათობაზე“ ბოლოს: „ნაძალადევი ლექსი“.

გვ. 172. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „ბარბარე ჯორჯაძე ამის დად იყო“.

გვ. 173. ხაზგასმულია: „თავად-აზნაურობაში შემდეგ პროცესს აქვს ადგილი, როგორც სწერს ერთი მკვლევარი“, მიწერილია: „გრ. ყიფშიძე“.

გვ. 176. ხაზგასმულია: „ის შეტაკებები, რომელიც „მამათა“ და „შვილთა“ შორის ხდებოდა მასში (ე. ი. ერისთავი), არავითარ ინტერესს არ იწვევდა“, მიწერილია: „ბარბარე ჯორჯაძე – პოეტის და იღებდა მონაწილეობას“.

გვ. 177. მოხაზულია: „1862 წელს მეფის მოადგილეთ კავკასიაში დანიშნულ იქნა მიხაილ ნიკოლაევიჩი – მეფე ალექსანდრე მეორეს ძმა. რ. ერისთავმა მას მიუძღვნა ლექსი“, მიწერილია: „სად არის ეს ლექსი?“

გვ. 180. ხაზგასმულია: „ჩვენს ლიტერატურაში ხალხოსნური მხატვრული მწერლობის წარმომადგენლები იყვნენ: ე. გაბაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური და სხვა“, მიწერილია: „მელანია“.

გვ. 188. ტექსტში „რ. ერისთავის პირველი პერიოდის შემოქმედება საერთოდ უმნიშვნელოა, როგორც შინაარსის ისე ფორმის მხრივ“, ხაზგასმულია: „ფორმის მხრივ“ და მიწერილია: „არ არის მართალი, ხალხური სტილი აქვს, რითმა ნათალი, პირველად მან შემოიტანა ასონანსი“.

გვ. 189. ხაზგასმულია: „ამბობენ რომ თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში თითქოს რ. ერისთავმა ზურგი შეაქცია თავად-აზნაურულ იდეოლოგიას“, მიწერილია: „ვინ ამბობს“.

№ 9–10

კანზე: „ი. გრ. 9. XII“. იქვე: „აქ ჩემ მიერ ნათარგმნი ლექსია, გვ. 12 ბეზიმენსკისა; ქართული თეატრი, 198. გვ. 210; პიესა „ანზორი“, გვ. 70“.

გვ. 231. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „მედეა“ და „მოიმედეა“, მიწერილია: „ეს კარმელის რითმაა“.

№ 11–12

კანზე: „ი. გრ. 1932. 5 თებერვალს გამოვიდა“. იქვე: „გრიშაშვილი – პორნოგრაფი“, შ. რად. გვ. 151“.

გვ. 151. ხაზგასმულია: „მთავარი გზები, რომლითაც მიემართებოდა ამ პერიოდში მწერლობა (1905 წ. რევოლუც. დამარცხების შემდეგ) იყო: პესიმიზმი (გ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და სხვა), ეროტიკა – პორნოგრაფია (ი. გრ. და სხვ.) მსუბუქი ჟანრის პოეზია (კ. მაყაშვილი და სხვ.), მიწერილია: „მსუბუქი ჟანრი კი არ ეწოდება მაყაშვილის ლექსებს, არამედ ის იყო პირველი ქართველი სატირიკოსი“.

1932

№ 1–2

კანზე: „1932 წ. სრულია“. იქვე: „მიხ. ჯავახიშვილი ილიაზე დისკუსიაში, გვ. 234“.

გვ. 235. ხაზგასმულია: „ისტორიული რომანის დაწერას სჯობია ათი ფუთი საპონი შექამო“, არშიაზე: „არჩ. ჯორჯაძის თქმა“.

გვ. 275. ხაზგასმულია: „წვერვა“, მიწერილია: „მზე დაწვერილი“.

გვ. 282. ხაზგასმულია: „ბეზიმენსკი ა. შეტევა“, მიწერილია: „თარგ. ი. გრიშაშვილისა“.

№ 3–4

კანზე: „1. ირმის ნაამბობი (ჩემის რედ.) გვ. 216. 2. გიოტე ქართულად, გვ. 216“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 19 VI. ივნ“.

გვ. 216. ხაზგასმულია: „მოგვყავს სია ქართულად ნათარგმნ გოეტეს ნაწერებისა, რომელიც ჩვენის თხოვნით შეადგინა ი. გრიშაშვილმა“, მიწერილია: „შეცდომებითაა, მე არაფერ შუაში ვარ!“

№ 5–6

კანზე: „ი. გრ. 1932. გამოვიდა 20 IX. ჩემი შენიშვნა, 166“.

გვ. 168. ხაზგასმულია: „დრო კი ისეთი ყოფილა და ღვინო იმდენი ჰქონიათ მაშინ, რომ თავმოყვარე კაცი, თურმე ხელსა და ფეხს, თუ არ ღვინით, ისე იშვიათად დაიბანდა“, არშიაზე: „იხ. „ბოჰემა“.

გვ. 169. მოხაზულია მეოთხე აბზაცი და წერია: „? ეს არ არის სწორი“.

გვ. 172. ხაზგასმულია: „ალექსანდრე ორბელიანი, პუპლიათ წოდებული“, მიწერილია: „დ. რექტორი პუპლ.“

№ 7

კანზე: „ი. გრ. 1932. 25 XI. ბერანჟე ქართულად, გვ. 157, მეც. თარსობა, 50“.

№ 8–9

კანზე: „ი. გრ. 1932. დეკემბერი 25-ს. სერგეი მესხის წერილები, გვ. 177; გვ. 25. ეს ფურცელი მერე ამოხიეს, შეცვალეს და ისე ჩააკრეს; ი. გრ. პოეტები ქუთაისიდან, გვ. 189; 2. კილოკავაძე – კ. ლორთქიფანიძის ფსევდ., გვ. 192, 195; 3. როგორ ზრუნავდა ქართულ რომანზე სერგეი მესხი, გვ. 194; ჭალადიდელი, 198; კ. მესხზე, გვ. 212“.

გვ. 25. ხაზგასმულ-მოხაზულია, არშიაზე: „ეს ადგილი შეცვალეს (მთელი ფურცელი ამოხიეს) კობაზე აღარ არის, ხოლო ფილიპეზე წერია: რომ „ხელმოკლე მამა სასოებით ზრდიდა“.

გვ. 177. ხაზგასმულია: „ზოგიერთი მკვლევარიც კი ვერ იცნობს მის (ს. მესხის) ნაწერებს“, არშიაზე: „ესეც ხომ გაზეთებში არ არის გაბნეული? ცალკე დაიბეჭდა მისი წიგნი“.

გვ. 181. ხაზგასმულია: „გამოცემულია მხოლოდ ერთი ტომი 1904 წ.“, არშიაზე: „სამ. ფ-ს რედაქციით“.

გვ. 182. მეორე აბზაცის არშიაზე: „ცენზურა“. იმავე გვერდზე შენიშვნას პეტრე უმიკაშვილის შესახებ მიწერილი აქვს: „ანჩისხატისუბნელი?“

გვ. 183. ხაზგასმულია: „კ. ლორთქიფანიძე რუსულიდან ლექსებსაც თარგმნიდა... ათავსებდა ხან ხელმოუწერლად, ხან თომა კარგარეთელის ფსევდონიმით“, არშიაზე: „იხ. ჩემი ბოჰემა, გვ. ... მანამდე არავის არ აქვს“.

გვ. 185. ხაზგასმულია: „ნამეტურ უ. ბეთანოვის უშვერმა და ხეპრულმა წიგნმა გამომითხოვა ამაზე“, მიწერილია: „აქ წიგნი წერილის აზრით არის ნახმარი. ი. გრ“.

გვ. 189. პირველ შენიშვნას მიწერილი აქვს: „სახელი“ წელი? №-რი?“

გვ. 190. მე-7 შენიშვნას მიწერილი აქვს: „გამოსცა ცალკე წიგნად „ქართველი ქალები“, „პასუხი სომხებს“ და სხვა“. ხაზგასმულია: „ვისაც საზოგადო წერა შეუძლია, იმას ცოცხალი, მკვახე სიტყვების ხმარება და გადაკვრით, по поводу ლაპარაკიც არ გაუჭირდება მაგდენათ“, მიწერილია: „ეს სულ გაზეთისთვის“.

გვ. 192. შენიშვნაში ალ. ცაგარლის შესახებ ხაზგასმულია: „აქვს მოთხრობები“, მიწერილია: „ტფილისის მენახშირის ცხოვრება“; ხაზგასმულია: „ავტორის ვინაობა ჩვენში უცნობი იყო“, მიწერილია: „იხ. ცენტრ. არხივის კომპლექტური, რასა სტყუი!“

გვ. 195. მოხაზულია: „დროების ეს დამატება არ გამოსულა“, მიწერილია: „ამ დამატებით ნაგულისხმევია „კრებული“. ი. გრ“.

გვ. 197. ხაზგასმულია: „დედანი ინახება არქივში“, მიწერილია: „დედანი რა საჭიროა, როცა დროებაშიც დაიბეჭდა ეს სიტყვა? ი. გრ“.

გვ. 198. მოხაზულია: „ჩამოდი“, მიწერილია: „ჩადი?“

გვ. 199. შენიშვნას გ. ჭალადიდელის შესახებ მიწერილი აქვს: „მარტო ამ ნომრებში? რატომ არა სწერ, რომ „მახსოვს პირველად“ ი. გოგებაშვილმა გააკეთა“. მოხაზულია: „ინახებოდა“, მიწერილია: „ეხლა აღარ ინახება?“

გვ. 202. მოხაზულია: „ვ. თ“. და მიწერილია: „ვ. თუმანიშვილი“. გ. იოსელიანის შესახებ შენიშვნას დამატებული აქვს: „ვეფხისტყაოსანი გადააკეთა, რეინიკე კუდამელა (გიოტესი) სთარგმნა, იმერლები ტფილისში დაბეჭდა“.

გვ. 203. მოხაზულია მე-11 და მე-14 შენიშვნები და არშიაზე: „ზაქ. ჭ-ძე წერდა №-რი, წელი?“

გვ. 204. ხაზგასმულია: „ეს რუსული ლექსი არ არის ცნობილი“, მიწერილია: „ეს რუსული ლექსი მგონი დ. ერისთავს ეკუთვნის? ი. გრ“.

გვ. 205. ხაზგასმულია: „მისი (ი. ისარლოვის) მოგონება გამოაქვეყნა მ. თუმანიშვილმა“, მიწერილია: „სად გამოაქვეყნა?“

გვ. 209. ხაზგასმულია: „ამ მოთხრობის (გ. წერეთლის „კიკოლიკო, ჩიკოლიკო და კუდაბზიკა“) მეორე ნაწილი დაიბეჭდა „კრებულის“ № 9-ში“, მიწერილია: „რომელიც გალანძდა გრ. ორბელიანმა“.

გვ. 210. მე-4 შენიშვნას მიწერილი აქვს: „იხ. „ხარაკტერისტიკი“ გ. თუმანიშვილის“.

გვ. 212. ხაზგასმულია: „მაგისტანა მცოდნე და გონიერი ყმაწვილი“, მიწერილია: „კ. მესხი“.

№ 10–12

კანზე: „გამოვიდა 1933 წელს 25 თებერვალს. ი. გრ. 1832 წ. შეთქმულება, გვ. 196-დან. კაშმირი თუ ქიშმირი, გვ. 268“.

1933

№ 1–2

კანზე: „სრულია. 1933. ჩემზე, გვ. 176. ი. გრ. გამოვიდა მარტის 31-ს. სევადის ახსნა არა არის სწორი, გვ. 170“.

გვ. 5. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ჰაერს“, „შაირს“, მიწერილია: „შაბლონია“.

გვ. 17. ხაზგასმულია: „შენ ტრაგედიის მხრების სიმძიმე ასწი წრფელი ხმით თარგმნილ ფრაზაში“... მიწერილია: „ჩემიდან“.

გვ. 20. მოხაზულია მეორე სტროფი, მიწერილია: „ჟ. ლ.“, ხაზგასმულია: „მანათებს“, მიწერილია: „მანეთებს“.

გვ. 69. მოხაზულია ლექსი „ბუკინისტი“, არშიაზე: „ჰგავს ჩემსას იდებით?“ ხაზგასმულია: „ნიავი“, მიწერილია: „ნიავი წიგნს ვერ მოიტაცებს“.

გვ. გვ. 138–174. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ 43-ე სტროფში ხაზგასმულია: „იჩქითად“ და მიწერილია: „27“. 64-ე სტროფში ხაზგასმულია: „შემომესიტყვა“, მიწერილია: „ჩემიდან“. 91-ე სტროფში ხაზგასმულია: „ღორმუცელობით“, მიწერილია: „ნაყროვანობით“. ხაზგასმულია: „სახეში ჰყავდა“, მიწერილია: „რუსული გამოთქმა“. 118-ე სტროფში ხაზგასმულია: „ცეზარი“ და მიწერილია: „კეისარი?“ მესამე ქების 67-ე სტროფში ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე: „ბუზის ნაკბენისაგან ნაკადული?“, 103-ე სტროფში ხაზგასმულია: „უფალის“, მიწერილია: „უფლის, მეუფის“. 106 სტროფში რკალშემოვლებულია: „შიშ ქვეშ“ და მიწერილი: „რუსული გამოთქმა“. 133-ე სტროფში რკალშემოვლებულია: „ქარ ქვეშ“, მიწერილია: „რუსულია“. ოცდამეექვსე ქებაში, მე-13 სტროფში ხაზგასმულია: „კლდის ციცაბოთი“ და მიწერილი: „ციცაბო კლდე“. 33-ტე ქებაში, 26-ე სტროფში ხაზგასმულია „საქანელთა“ და მიწერილი: „დაბანდებაშია: „საქანელნი ცათანი“. 44-ე სტროფი მოხაზულია და არშიაზე: „აკლია ტერცინს?“ ოცდამეთოთხმეტე ქებაში, 73-ე სტროფში ხაზგასმულია: „კასიუსია“, მიწერილია: „კასიო“. 97-ე სტროფში ხაზგასმულია: „მეგზურმა“, არშიაზე: „ეტიკმა“, 130-ე სტროფში ხაზგასმულია: „თვალშეუვლები“, მიწერილია: „თვალშეუდგამი“.

გვ. 170. ხაზგასმულია: „მოუსევადებია“, არშიაზე: „სევადი – სიშავეს ნიშნავს“.

გვ. 248. ინიციალებთან: „გ. კ. – ს“, „კ. გამსახურდია“.

გვ. 249. არშიაზე ხაზგასმულია ადგილები: „კითხულობ?“

გვ. 253. ხაზგასმულია: „Баба болтливая – როკაპი“, მიწერილია: „? აჯილღო“.

გვ. 254. ხაზგასმულია: „Бабочка ночная – ჰეპელიკი“, მიწერილია: „ფარვანაა“.

გვ. 256. ხაზგასმულია: „Беспрестанно მიწყევ... მარადის“, მიწერილია: „მუდამ“. ხაზგასმულია: „Брадобрей – ვარსიმი“, მიწერილია: „საბა“.

გვ. 258. ხაზგასმულია: „Зубочистка – ...ტანტრაბეჩი“, მიწერილია: „საბა“.

გვ. 52 და 53 შორის დევს გაზეთიდან ამოჭრილი ბეს. ჟღენტის რეცენზია „მნათობის“ 1932 წ. № 10–12-ზე, მინაწერით: „სალიტ. გაზ.“, 1933, № 10“.

№ 3

თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 15 IV“.

გვ. გვ. 157–159. ბიბლიოგრაფიულ სიის „კ. მარქსი ქართულ ენაზე“ სათაურთან: „უსრულოა“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1933. 6 ივნისი. ჩემი „სადათნოვა“, გვ. 162“.

გვ. 147. ხაზგასმულია: „თეატრებშიდაც“, მიწერილია: „თეატრშიც“.

გვ. 148. მოხაზულია აზნაცი, წერია: „დურუჯი“.

გვ. 152. წინადადებას „შეუდგა პიესის ძებნას...“, ჩამატებული აქვს: „დონკიხოტის“.

№ 5

კანზე: „გ. ტაბიძის საიუბილეოდ. ჩემი თარგმანი ნაყაშიდან, გვ. 186. ი. გრ“.

გვ. 23. ლექსის „ლირიკოსი და მეზაღე“ სათაურთან: „ჩემებურია. იხ. „საუბარი ასოთამ“. ბოლო სტრიქონების არშიაზე: „იხ. გვ. 24“.

გვ. 24. არშიაზე: „იხ. გვ. 29“; მოხაზულია ორი სტრიქონი, დაწყებული: „დღეს ლირიკამ...“, მიწერილია: „დუდუკის ნაცვლად ქარხნის საყვირი...“.

გვ. 25. მოხაზულია სარითმე სიტყვები: „პოეტს“, „ჰოვებს“, მიწერილია: „ჩემიდან ნ-ს“.

გვ. 26. მოხაზულია: „იქ ჰაერმა რომ ჩაიცვა ქვანახშირის ბოლი“..., მიწერილია: „ჩემი“. ხაზგასმულია სარითმე სიტყვები: „ოდნავ“ და „ცოდნა“, მიწერილია: „ჩემიდან“.

გვ. 28. ხაზგასმულია: „ჩემი ლექსების – მე აღარა მწამს“, მიწერილია: „რა?“

გვ. 49. ხაზგასმულია სარითმე სიტყვები: „იქით“, „ჩლიქით“, მიწერილია: „ჩემია“.

გვ. გვ. 136–137 შორის დევს გაზეთიდან ამოჭრილი ვს. ვიშნევსკის წერილი „საბჭოთა დრამატურგიის შესახებ“, მინაწერთ: „კომ“., 5 ივნისს, 1933 წ. № 128“.

№ 6–7

კანზე: „ი. გრ. 1933. 25 VIII. ა. ჭ-ძე, გვ. 321. ჩემზე, 165–166; ხალვათი როგორ ესმის, გვ. 295, გვ. 89“.

გვ. 89. ხაზგასმულია: „ჭაჭანება არ მოსჩანდა“, არშიაზე: „არ იყო, არ ისმოდა“.

გვ. 166. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „ეს მერეა ჩამატებული“.

№ 8–9

კანზე: „ილიას წერილები, გვ. 266; „აჩრდილის“ ახალი ვარიანტი, გვ. 280; ჩემზე, 232“.

გვ. 267. გ. სულხანიშვილისადმი წერილს მიწერილი აქვს: „გაბო“.

გვ. 269. წერილთან ნინო აფხაზისადმი წერია: „დაა“

გვ. 270. ხაზგასმულია: „ნაცარ-ქექიას ზღაპარს მეუბნებოდეს“..., არშიაზე: „ჰყვარებია“. ხაზგასმულია: „ერთმა ქალმა ქართული ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავაირდი“..., არშიაზე: „ჩაიკოვსკის ქალი ხომ არ არის?“ ხაზგასმულია: „გაგაბედნიერებს“, მიწერილია: „თუ გაგაბედინებს?“

გვ. 273. ხაზგასმულია: „თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ... აქ მთელ წიგნს ავიკრძალავენ“, – არშიაზე: „ცენზურა და კაკო ყაჩაღი“. ხაზგასმულია: „კირ. ლორთქიფანიძემ განიზრახა პეტერბურგში გამოეცა ლექსთა კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით“, არშიაზე: „გამოსცა უკვე“.

გვ. 275. ხაზგასმულია: „შემცდარია ჭავჭავაძის სრული ნაწერების კომენტატორი“, არშიაზე: „პ. ინგოროყვა“.

გვ. 276. მოხაზულია მეორე აბზაცი, მიწერილია: „ილია ჭ-ძისა“.

გვ. 277. ხაზგასმულია: „დუდგულის“, არშიაზე: „დუდგულა ყვავილია ფშუტი“.

გვ. 279. ხაზგასმულია: „ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულიყო საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძობელთა ერთად თავის მოყრა თვითეულის გონებისა დაუნჯის აღებ-მიცემობისათვის“, არშიაზე: „ხელოვანთა სასახლე“. ხაზგასმულია: „ჟურნალ. „განთიადი“, № 8, გვ. 21, 1915 წ.“, მიწერილია: „ხომლელისა“.

გვ. 280. ხაზგასმულია: „ზურაბ სვიმონის ძე მორთულაძე“, არშიაზე: „ზურაბ მორთულაძე „ოლ-ოლის სიმამრია?“.

გვ. 281. პ. უმიკაშვილისადმი მესამე წერილის არშიაზე: „ლირი“.

გვ. 282. ნ. ნიკოლაძისადმი პირველ წერილის დასაწყისთან, არშიაზე: „გლახის ნაამბობი“.

№ 10

კანზე: „სრულია. 1933. ი. გრ. გამოვიდა 1934, 4 I. ა. ჭ-ძე, გვ. 162; „კამეჩის თვალი“, გვ. 4 და 26, ვინ ვისგან აიღო?“

გვ. 4. ხაზგასმულია: „კამეჩის დიდრონი თვალები“, მიწერილია: „იხ. გვ. 26“.

გვ. 7. ხაზგასმულია დამარცვლილად დაბეჭდილი სიტყვა: „შეჭმუხვია“, არშიაზე: „რათ უნდა დაყოფა?“ ხაზგასმულია: „სასთუმალთან“, არშიაზე: „გვ. 11“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „სასტუმალი“ და მიწერილი: „ხან სასთუმალი, გვ. 7“.

გვ. 12. ხაზგასმულია: „გამოსავალი იყო სიკვდილი“, მიწერილია: „სიკვდილი არ უნდა მოენატროს, ჯერ სამაგიერო, მერე სიკვდილი“.

გვ. 26. ხაზგასმულია: „ვით კამეჩის თვალი“, მიწერილია: „იხ. გვ. 4“. მოხაზულია ლექსის პირველი ხუთი სტროფი, მიწერილია: „გ. ტაბიძის „ქარი“. ლექსის მეორე ნაწილში ხაზგასმულია: „თბილი, როგორც კვარი“, მიწერილია: „კვარი თბილია? თუ არ აინთო, მაინც თბილია?“ ხაზგასმულია: „ნამტკივარი“, არშიაზე: „ცეზურა?“ ხაზგასმულია: „ვით კამეჩის თვალი“, მიწერილია: „კამეჩის თვალი ჰქრება?“ ხაზგასმულია: „იხილავდა“, მიწერილია: „მკბენარს?“

გვ. გვ. 153–175. კ. მელაძის წერილის „გაკვრით კლასიკოსებზე“ სათაურთან: „ასეთი დიდი თემა „გაკვრით?“

გვ. 159. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ნაწყვეტს მიწერილი აქვს: „აკაკის კი ცოტა ასეთი ლექსი აქვს? იხ. „კრებული“.

გვ. 162. არშიაზე: „ა. ჭ-ძე“.

გვ. 164. არშიაზე: „კ. კაპანელი“.

გვ. 165. არშიაზე: „ფ. მახარაძე“.

გვ. 174. არშიაზე: „გურია“.

გვ. 190. მოხაზულია ბოლო აბზაცი, არშიაზე: „იხ. ჩემი „საიათნოვა“.

გვ. 194. ქვემოდან მეორე აბზაცის არშიაზე: „ანდ. ბელი“. ხაზგასმულია: „მამაჩემი ქალაქში წავიდა“, მიწერილია: „სწორეა“.

№ 11

კანზე: „ია ეკალაძეზე, გვ. 208“.

თავფურცელზე: „ი. გრ. გამოვიდა 1934. 20 იანვარს, გასაყიდათ 29 თებერვალს“.

გვ. 203. მესამე აბზაცის არშიაზე: „ფერხული“.

გვ. 208. წერილის ბოლოს: „1. სთარგმნა შნიცლერის „ფერხული“. 2. სთარგმნა „მოჩვენება“ იბსენისა, ახალი ბატონებ. 3. ფარსმან ფარუხი არ არის ი. ეკალაძის ფსევდ., როგორც ეს „საბჭოთა ხელოვნებაში“ წერია. 4. ლექსი „შვილი მუშა ბოქულაძისა“. 5. სთარგმნა „ოთხი ძმა“ („მიწა““).

№ 12

კანზე: „ი. გრ. გამოვიდა 1934. 10 III. აქ სარჩევია 1933 წ“.

1934

№ 1–2

კანზე: „ი. გრ. 1. ევდომვ-ზე. 2. ა. ჯაბადარის მოგონება, გვ. 261“.
თავფურცელზე: „გამოვიდა 25 აპრილს“.
გვ. 263. ხაზგასმულია: „სოლოვიოვი – „ნესმელოვი“, მიწერილია: „იხ. „ნობათი“ და „ცნ. ფორც“.
გვ. 267. არშიაზე: „ა. ყაზ“.
გვ. 268. არშიაზე: „მარი“.
გვ. 275. არშიაზე: „აკაკი“.
№ 3
გვ. 144. მოხაზულია მესამე აბზაცი, არშიაზე: „იხ. გ. ლასხიშვილის მემუარები“.
№ 4
კანზე: „ი. გრ. ივლისი 10“
გვ. 191. ხაზგასმულია: „ალექსანდრე ჯაბადარს“, არშიაზე: „ეს სიტყვა არ არის გ. ლასხიშვილის მოგ., გვ. 225“.
გვ. 192. მოხაზულია გვერდი, არშიაზე: „გ. ლასხიშვილისა“.
გვ. 204. მოხაზულია აბზაცი, არშიაზე: „თეატრი“.
გვ. 205. ხაზგასმულია: „მანშიაშვილთან“, არშიაზე: „მიშნიაშვილთან“.
№ 5–6
კანზე: „ა. პუშკინი“.
თავფურცელზე: „გამოვიდა 1 სექტ. ი. გრ“.
№ 7–8
კანზე: „ი. გრ. 1934. 1. XI“. იქვე: „ჩემს საიათნოვაზე, გვ. 319. გრიშაშვილი, გვ. 299“.
გვ. 159. ხაზგასმულია: „ახლა ან არასოდეს“, მიწერილია: „იხ. ჩემი ლექსი“.
№ 9
კანზე: „ჩემი ლექსია. ი. გრ. 1934. 6 XII“.
გვ. გვ. 35–36 ვ. გაფრინდაშვილის ლექსის „მკვლელობა თეატრის შესახვევში“ სათაურთან: „ჩემი მიზანია“. ხაზგასმულია: „ფარავს“, მიწერილია: „ფარავდა“.
გვ. 82. ხაზგასმულია: „იარე, უკან ნუ დაბრუნდები“, არშიაზე: „იხ. 45“.
თავფურცელთან დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი კ. მელაძის წერილი „ახალგაზრდა მწერლების იდეოლოგიური ჩავარდნები“, მინაწერით: „ლიტ. გაზეთი“, 1934, № 32“.
№ 10
კანზე: „1935 წ. 15 იანვარს გამოვიდა ი. გრ. 1. ჯილავის ჯაჭვი...? გვ. 4. 2. ახალციხელი ვარლამოვის იალოები, 6. 3. დალაბა (?) გვ. 11, 12. 4. პერი თუ ქაფი? 24“.
გვ. 7. მოხაზულია: „ბეცი იყო და არაფერი მის თვალებს არ გამოეპარებოდა“..., არშიაზე: „ახნაზაროვი“.
გვ. 12. არშიაზე: „დალაბა არ შეიძლება. ნაწარმოებია დალაბანდიდან (დოლი-ბანდი). ი. გრ“.
გვ. 117. ხაზგასმულია: „გასულსა სოფლად“, არშიაზე: „ე. ი. მოკვდა?“
გვ. 215. ხაზგასმულია 1-ლი სტრიქონი, მიწერილია: „აქამდე სულ ამაზე არ მსჯელობდი?“ ლექსის სტროფი მოხაზულია, მიწერილია: „ა. იმედაშვილი ჩემს საღამოზე“.

№ 11–12

კანზე: „1934. სრულია. ი. გრ“.

გვ. 10. ხაზგასმულია: „იფნის ფოთოლის სველით“, მიწერილია: „თიბვის დროს იფნას სველი ფოთოლი აქვს?“ ხაზგასმულია: „ჩააზიმზიმეს“, მიწერილია: „ჩემი სიტყვაა (აქ უადგილოთაა ეს სიტყვა)“.

გვ. 11. ბოლო ათი სტრიქონი მოხაზულია, არშიაზე: „ა, ა, ა!“

1935

№ 1

კანზე: „ი. გრ. 1935. 23 III. 1935 სრულია. ჩემი წერილი“.

იქვე შინაარსში ხაზგასმულია: „ი. გრიშაშვილი“, მიწერილია: „მე, 156“. შინაარსშივე „აკაკის“ გასწვრივ მიწერილია: „ვორონცოვი“.

გვ. 89. მეორე აბზაცის ბოლოს: „ზმნა სად არის“.

გვ. 91. პირველ აბზაცთან: „ზმნა?“ ხაზგასმულია: „ყვირილი“, არშიაზე: „მახილი?“.

გვ. 93. ხაზგასმულია: „სამფეხა ზედადგარი“, არშიაზე: „ზედადგარი ოთხფეხა არ შეიძლება იყოს“. მე-8 აბზაცთან მინაწერი: „ბოლოს ჟონვა?“

გვ. 96. ხაზგასმულია: „კეთილ ბიძას“..., არშიაზე: „ძიას“.

გვ. 146. ხაზგასმულია: „ნიკო ქუთათელაძე“, მიწერილია: „ამაზე ლორთქიფანიძეებმა სთქვეს“.

გვ. 156. ხაზგასმულია: „ეს წერილი ვალ. გუნიაშვილს ჩემგან“, მიწერილია: „წაიღო და დაბეჭდა კიდეც. იხ. „საქართ“. ი. გრ“.

გვ. 157. ხაზგასმულია: „40 წელს არც ერთი არ იყო მიღწეული“..., მიწერილია: „ივ. მაჩაბელი 44 წლისა იყო“.

№ 2

კანზე: „ი. გრ. გამოვიდა 21 აპრილს“. იქვე: „აკაკის „ომი“; ჩემზე, 93, 95, 109, 112“.

გვ. 88. ხაზგასმულია: „ყოველ ანტრაქტზე ჩამოვრბოდი ქანდარიდან პარტერში“, არშიაზე: „მაშინ ქანდარა და პარტერი არ იყო გაერთიანებული“.

გვ. 90. მოხაზულია აკაკის მოგონება ლ. მესხიშვილზე, რომელსაც პირველ ხანებში ქართული არ უფარგოდა, არშიაზე: „შენი სიტყვები მაძრწუნებს (მაწრწუნებს) „ქეთევან““.

გვ. 106. სტროფების გასწვრივ მიწერილია: „აკლია“.

გვ. 107. მოტანილ ნაწყვეტში ჩასწორებულია ზოგიერთი სიტყვა.

გვ. 112. მოხაზულია ბოლო აბზაცები, მიწერილია: „ერთხელ ვ. რუხაძის ნაამბობი ჩავიწერე „ომის“ რუსულად გამოცემის შესახებ“.

იქვე ჩადებულია საქ. სახ. მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების მოთხოვნის ბარათი. ი. გრ. ითხოვს ნებართვას იმუშაოს ხელნაწერზე H 1470, მიწერილია: „აკაკი „ომი““.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1935. 2 ივნისი. „მეზურნე?“ – 55; პროფ. კაზაკოვი“.

გვ. 55. ხაზგასმულია: „დამსხდარიყო ოთხი მეზურნე“, აღნიშნულია კითხვის ნიშნით და მიწერილია: „მეზურნე ერთია. დასტაში სამი კაცია“. ხაზგასმულია: „სალამური“, მიწერილია: „დუდუკი“.

გვ. 56. მოხაზულია სიტყვა: „შეესიტყვა“, არშიაზე: „პირველად მე ვიხმარე, მე, მე, მე, „ნამუსში“.

გვ. 57. მოხაზულია სიტყვა: „ხოშზე“, არშიაზე: „ბოჰემიდან“.

№ 5

კანზე: „ბაღჩისარაის შადრევანი. პუშკინის გამოფენისათვის. დუბლ. ი. გრ“.

№ 6

კანზე: „ი. მანსვეტაშვი“.

№ 7–8

გვ. 37. მოხაზულია სტროფები, არშიაზე: „ნ. ზომლ. პ. სამს.“

გვ. 38. ხაზგასმულია: „მრუდეს ლესავდა იგი იატაგანს“, მიწერილია: „? იატაგანი განა სალესავია?“

გვ. 39. მოხაზულია ორი სტრიქონი, მიწერილია: „თავისავე ლექსიდან“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „გადატყდა წელში როგორც მიზრაფი“, არშიაზე: „მიზრაფის ტყდომა არ არის ხშირი“.

№ 9

კანზე: „ი. გრ. 1935. 29/XI“. იქვე შინაარსში ხაზგასმულია: „ს. დანელია“, მიწერილია: „პუშკინი“.

კანის მე-2 გვ. დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ბეს. ჟღენტის რეცენზია ჟურნ. „მნათობის“ 1935 წ. № № 7–9, მინაწერით: „კომ“, 1936, 10/I, № 8“.

ჟურნალის ბოლოს დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ბეს. ჟღენტის მიმოხილვა ჟურნ. „მნათობის“ 1935 წ. № № 7–9, მინაწერით: „Заря“, 1936, № 4“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 1936 2/II“. ამ დროს გამოვიდა“. იქვე: „ი. მანსვეტაშვილი. ვ. რუხაძე“.

გვ. 192. არშიაზე: „ლევ. მელიქიშვილი. (ნ. ბარათაშვილის მეგობარი)“.

გვ. 202. მოხაზულია ვაჟას სიტყვები: „მოთხრობა უკვე გავაგზავნე საყმაწვილო ჟურნალში“, არშიაზე: „ნობათი“.

გვ. 205. არშიაზე: „სცდება დონ-იაგო. ილიას „ბაზალეთის ტბა“ დაიბეჭდა „ჯეჯილის“ პირველ ნომერში 1893“.

გვ. 208. არშიაზე: „რ. ერისთ. ნებიერიძე“.

გვ. 210. ხაზგასმულია: „პოეტი სიმბორსკი“, მიწერილია: „გარდაიცვალა იხ. ტიხონოვის მოგონება“.

№ 12

კანზე შინაარსში მოხაზულია: „შ. ჩხეტია“, მიწერილია: „1832 შეთქმულება“.

გვ. 230. მოხაზულია ბოლო აბზაცი და მიწერილია: „არ არის მართალი“.

1936

№ 1

კანზე: „არ ვარგა, გვ. 57“. ნომერში დევს ქალაქის ნაჭრები 1. გვ. 32–33 შორის: „კინტო გალიორკაში „როცა ვასო აბაშიძე გამოვიდეს – გამაღვიძე“. 2. გვ. 42–43 შორის: „ა. ცაგარელმა თავის ჩანგის საგნად დაისახა. ა. ცაგარელის სიტყვის ძალა და მნიშვნელობა. დიალოგი ამშვენებს და აძლიერებს“. 3. გვ. 56–57 შორის: „ა. ცაგარელმა, როგორც გოლდონმა, გამოიყვანა მდაბიო ხალხი სცენაზე“. 4. იმავე გვ. „აკაკი. კინტო ა. ცაგარელ“.

№ 2

კანზე: „ი. გრ. ა. ყაზბეგი და გადასაყვანი ქალღმერთები, გვ. 217“.

№ 3

კანზე: „1. ი. ევდოშვილზე. 2. ი. ჭ-ძე და მ. ნასიძე“.

გვ. 162. მეორე აბზაცი მოხაზულია, არშიაზე: „იხ. გვ. 165“.

გვ. 164–165 ლექსის „გასართობი“ სათაურთან: „იხ. გვ. 162“. ლექსის ბოლოს: „იხ. „ცხოვრების სარკე““.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1936 წ. 12 ივლისი“.

ნომრის ბოლოს სარჩევში ბიბლიოგრაფიის ავტორის ინიციალებთან: „გ. მ.“ „გ. მეზუკე“.

№ 5–6

კანზე: „ი. გრ. წაღვერი. 1936 წ. 15 აგვისტო“. იქვე: „ილიაზე, 231 (ი. მეუნარგია). 2. ა. ჭ-ძე, გვ. 232. 3. სიმბორსკი, გვ. 248. თქმა „უფალი მესხი“ ილიას განუდევნია, შემოუღია – ბატონი მესხი, გვ. 247“.

გვ. 151. ხაზგასმულია: „რომ ბავშვი აჭამოს და მიაღაგოს“ მიწერილია: „რა მიაღაგოს ბავშვი?“

გვ. 159. მოხაზულია 8 სტრიქონი, არშიაზე: „კარგია“.

გვ. 235. ხაზგასმულია: „კონსტ. მამაცაშვილისა“, მიწერილია: „ეს კონსტანტინე ვიღაა?“

გვ. 240. ბოლო აბზაცი მოხაზულია, არშიაზე: „ზარმაცი“.

გვ. 424. არშიაზე: „უფალი მესხი“.

გვ. 248. ხაზგასმულია: „კოლა ერისთავი“, მიწერილია: „დეკლამატ“. ხაზგასმულია: „რუსი მოხელე“, მიწერილია: „სიმბორსკი, ჟურნალისტი“.

კანის მე-4 გვ.: „სკასავით განაჯავრები; ათადამ-ბაბადამ 240, 246; პიეტარი, 249; ყიამეთი, 148; ღარღილი, 152; ყუმაში, 157; ქარაშოტი, 159“.

№ 7

კანზე: „ი. გრ. წაღვერი. 1936. 15 აგვისტო“. იქვე: „1. განდეგ. – ილია, გვ. 172. 2. აკაკის „პატარა კახი“ და ტურფას „ნანა“, 176. 3. ა. ახნაზაროვზე, 177“.

გვ. 175. ხაზგასმულია: „მე მქონდა აკაკისა და ივანე მაჩაბლის სურათი... ნარდს თამაშობდნენ... ვინახავდი... მაგრამ დამეკარგა“, მიწერილია: „დაიბეჭდა“.

გვ. 176. ხაზგასმულია: „ჩემო ციციანთელას“ სიტყვები მივუწერე“, მიწერილია: „იხ. ბათომის სალიტ. გაზეთი № 1, 1934, ჩემი რედაქციით“.

გვ. 177. არშიაზე: „ჩიორა“.

№ 8

კანზე: „ი. გრ. ხაშური. 1936. 4 IX“. იქვე: „გაზ. თუ ჟურნ. „საქართველო“? 132; ჩემზე, 147“.

გვ. 144. ხაზგასმულია: „მოხუცის ცნობა“, მიწერილია: „გრძნობა“.

№ 9

კანზე: „მ. გორკის იტალ. ზღაპრები, გვ. 123. ეს შეცდომაა, გვ. 205“. თავფურცელთან დაკრულია ამოჭრილი გაზეთიდან „კომუნისტი“ 1936, 9 დეკ. № 284. ბიბლიოგრაფია „მნათობი“-ს ამ ნომერზე.

გვ. გვ. 56–57 მე-3–5 სტროფები არშიაზე: „ჰინე“.

გვ. 205. მოხაზულია პირველი ხალხური ანდაზა, არშიაზე: „ეს ბარათაშვილისაა (თურქული)“.

გვ. 209. ხაზგასმულია: „ზოგჯერ პოეტს ხალხური ლექსი უცვლელად შეაქვს თავის ნაწარმოებში“, მიწერილია: „განა ა. შანშიაშვილმა არსენაშიც არ შეიტანა?“

გვ. 213. მოხაზულია ლექსი „საყვარლისა ეშხზედა“, მიწერილია: „იხ. ჩემი „ბოჰემა“. იმავე გვერდის ბოლო აბზაცის არშიაზე: „კრილოვი?“

№ 10–11

კანზე: „გამოვიდა 10 იანვარს 1937 წ. ი. გრ“.

№ 12

კანზე: „გამოვიდა 1937, 10 მარტს. ი. გრ“. იქვე: „პ. იაშვილის ლექსით, 42“.

1937

№ 1–2

კანზე: „ი. გრ. გამოვიდა 1937, 22 აპრილს. სრულია“. იქვე: „ა. ჭ-ძე; პუშკინის, №; შეცდომა, გვ. 167“.

გვ. 167. ხაზგასმულია: „რომანსი „Под вечер осенью ненастной“ თარგმნილი აქვს დ. მაგლობელოვს იხ. ჟურნ. „ცისკარი“, 1857 წ., № 1“, მიწერილია: „ეს არ არის მართალი, ის სხვა ლექსია. ი. გრ“.

№ 3

კანზე: „ი. გრ. 1937. I VI“.

გვ. 3. მოხაზულია პირველი 10 სტროფი, მიწერილია: „ეს ორჯერ დაიბეჭდა“.

გვ. 66. ბოლო სტროფი მოხაზულია, არშიაზე: „პ. იაშვ. ო. თუმან“.

ჟურნალის ბოლოს დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი კ. გ-ძის რეცენზია „მნათობის“ № № 1–3, მინაწერით: „კომუნისტი“, 1937, № 152, 5. ივლისი“.

№ 4

თავფურცელთან დევს შ. აფხაიძეს რეცენზია „მნათობი“ № 1–4 ამოჭრილი გაზეთიდან „მუშა“ 1937, 27 ივლისი.

კანზე: „გამოვიდა 1937, 9–VII. ი. გრ“.

№ 5

კანზე: „1937, 10–VIII. ი. გრ“. იქვე: „1. სტალინის ლექსები. 2. ა. ცაგარლის „მკითხავი“ (ჩემის რედაქციით). გვ. 33; ჩემი ციტატა, 126, 130“. თავფურცელთან დაკრულია ამოჭრილი გაზეთიდან, „კომუნისტი“, 1937, 8 ოქტომბერი გ. საამოვის რეცენზია „მნათობი“-ს ამ ნომერზე. ხელწერას: „ი. ჯ-შვილი“ მიწერილი აქვს: „ალბად რედაქციამ შეამოკლა“; შემდეგ ლექსს მიწერილი აქვს: „ამ ლექსს მივბაძე მე. იხ. I ტ. „გამოზაფხულდა“, გვ. 81 და სოლო გოშაძემ“; გაზეთ „ივერიის“ № 280, 1895 წ. დაბეჭდილ უსათაურო ლექსის სათაურის ადგილზე წერია: „მეფანდურე“. ხაზგასმულია: „გადასდენია“, მიწერილია: „დაბეჭდილია: „გადადენია“. ხაზგასმულია: „უამბობს“, მიწერილია: „დაბეჭდილია: „უამბებს“ ლექსის ბოლოს მიწერილია: „აწერია: სოხელი“.

№ 6–7

კანზე: 1937 წ. 2–IX. ი. გრ. იქვე „გ. სუნდუკიანზე, გვ. 186“.

გვ. 93. არშიაზე: „ჭოლა“.

გვ. 95. არშიაზე: „ი. ბაქრაძე“.

გვ. 187. „ეს შენი დაწერილი არ არის“, მიწერილია: მაშ ეს შენი მოსატეხი ხელით არ არის დაწერილი“.

გვ. 189. წელი 1879 გასასწორებელია: „1875“.

გვ. 191. მოხაზულია, არშიაზე: „კარგია!“

№ 8–9

გვ. 81. ხაზგასმულია: „ჩემს მაგიდაზე“, მიწერილია: „ჩემს მაგიდაზე ასვენია წიგნის საჭრელად“, იხ. ჩემი „ბებუთი მაგიდაზე“.

ჟურნალში დევს გაზეთიდან ამოჭრილი მ. ყოჩიაშვილის „ბიბლიოგრაფია. „მნათობი“, № 8–9“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ“, 1938, 5 იანვ“.

№ 10

კანზე: „ქართულ თეატრზე, გვ. 248; ქადაგიძის ლექსზე, გვ. 277; ჩემი ლექსი, გვ. 36; ჩემზე, გვ. 225“.

№ 11

კანზე: „ჩემი თარგმანი, 71; ჩემზე, გვ. 230; შეცდომა, 163“.

№ 12

კანზე: „შოთას №-რი; ი. მანსვეტაშვილი, გვ. 221“.

1938

№ 1

კანზე: „1938 სრულია. ი. გრ. კანდიდი. ჩემზე, გვ. 160; ნეკრასოვის პიესა ტფილისში, გვ. 192; „გ. ტყაოსნის“ პირველი მკვლევარები რუსულ ენაზე, გვ. 197“.

გვ. 190. ლექსს მიწერილი აქვს: „აკლია ბოლო“.

№ 2

კანზე: „გამოვიდა 1938 1 აპრილს. ი. გრ. იეთიმას ლექსი, 128; ი. მანსვეტაშვილი და „ვეფ. ტყაოსანი“, გვ. 190“.

№ 3

კანზე: „მ. გორკის „სიკვდილი და ქალიშვილი“ (ჩემი შენიშვნებით)“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1938, 10–VI. ი. ევდომილი დაიბ. 1873, 7 მაისი“

№ 5

კანზე: „ი. გრ. 1938 10–VI. ა. ყაზბეგის პიესა „მამის მკვლელები“ – გვ. 152. ევდომილი 1913 წელს არ გარდაცვლილა, გვ. 151“.

გვ. 137. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „მეც ვიყავი წ. კ. საზ. წ“.

გვ. 151. მოხაზულია: „პოეტმა 1913 წელს სული დალია“, მიწერილია: „თუ 1916 წელს“.

გვ. 166. ინიციალებს: „მ. თ.“ მიწერილი აქვს: „მიშა თუმანიშვილი, გიორგის ვაჟი“.

№ 6

კანზე: „ი. გრ. წაღვერი. 24–VIII. ჩემი ლექსი „ჯამბულს“, გვ. 4; ბაყალი? გვ. 188 და არა საბაყლო“.

№ 7

კანზე: „1. ო. თუმანიანი. 2. მიცკევიჩი“.

გვ. 60. აპულეის „ამურ და ფსიქეა“-ს მიწერილი აქვს: „ოქროს ვირი“.

გვ. 91. ხაზგასმულია: „გაიბერა გემი“, მიწერილია: „გემი იბერება?“ ხაზგასმულია: „ერდოს გემზე“, მიწერილია: „თუ გემის ერდოს“.

გვ. 97. ხაზგასმულია: „ბაბთას“, მიწერილია: „ლენტია?“

გვ. გვ. 189–191. ს. ჩ-ს „ჟურნალ ნიანგის“ 1938 წლის ექვსი ნომერის“ რეცენზიის ბოლოს წერია: „მარტო ჟურნალის სახელწოდებით არ უნდა მიჰბადო მას. ი. გრ. იქვე: „P. S. კარგად სწერს ფარსადანი“.

ჟურნალის ბოლოს ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი შენიშვნა: „სახელგამის პერიოდსექტორი ცუდად მუშაობს“, მინაწერით: „1938 წ. 30 ივნისი“.

№ 8

კანზე: „ი. გრ. 1938. 11–X. ა. პუშკინი, 66; შეცდომა, 178; ტლოკები, 170; სერის კუდი, 172; რაფა, 177“.

გვ. 61. საადის „ბუსტან“-ზე ნათქვამია, რომ ქართულად პირველად იბეჭდება, მიწერილია: „? ა. სარაჯიშვილი, იხ. „ფასკუნჯი“.

გვ. 65. ხაზგასმულია: „ბიჟინი“, მიწერილია: „ბეჟანი“.

გვ. 168. ხაზგასმულია: „მელვინეობისათვის“, მიწერილია: „ღვინის დაყენება“, იხ. „მოამბე“, 1894 წ. №-ში“.

გვ. 171. ხაზგასმულია: „სირის კუდმა გაგვახარა“, მიწერილია: „სირის კუდი (ჩაროზი, ტკბილი, десерт)“.

გვ. 178. ხაზგასმულია: „ვასილ პეტრიაშვილის... წიგნი, თუ არა ვცდები „მელვინეობის“ სახელწოდებით“..., მიწერილია: „ღვინის დაყენება“ ჰქვიან. იხ. „მოამბე“, 1894 წ., № № I–XII. ცალკე წიგნადაც არის“.

ბოლოს დაკრულია ამონაჭერი გაზეთიდან „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938, № 106, 24 ნომბ. ი. ნატროშვილის „რეცენზიის მაგიერ“.

№ 9

კანზე: „ი. გრ. 1938, 21–XI ჩემზე (შიო), 193“.

№ 10

კანზე: „ჩემი ლექსი „კიროვის ბაღში“.

№ 11

კანზე: „1. გრ. ორბელიანი და კაპანელი, 199. 2. მანონ ლესკო“.

№ 12

კანზე: „ი. გრ. 1939. 28–I. ჩემი თარგმანი (მირზა ფატალი ახუნდოვი); ჩემზე, გვ. 180; ნ. ბარათაშვილზე“.

გვ. 162. ხაზგასმულია: „ხშირად მიყვევარ კომედიაზე“, მიწერილია: „წარმოდგენა“. ხაზგასმულია: „რუსეთში გადასახლებულ გრიგოლ ორბელიანისადმი“, მიწერილია: „? 1931 წელს (?) გვ. 162“.

გვ. 166. ხაზგასმულია: „ჩემ შვილს როგორღა მოვიგონებ, ოღონდ ზაქარია მყვანდეს ცოცხალი“, მიწერილია: „ძმის სიყვარული შვილზე მეტად“.

გვ. 170. ხაზგასმულია: „ეთქვას ვასილისათვის“, მიწერილია: „ბებუთოვი“.

1939

№ 1

კანზე: „სრულია. შიგ ჩემი ლექსია. ი. გრ“.

№ 2

კანზე: „ი. გრ. 1939. 20–IV. ჩემზედაც. ოვ. თუმანიანის „თმოგვის ციხის“ გარჩევა ლევ. ასათიანისა, გვ. 190“.

№ 3

კანზე: „შეცდომა შევჩენკოზე, 174“.

№ 4

გვ. 33. მე-7 სტროფთან წერია: „წყალი არ შეიბილწება?“

გვ. 34. პირველი ოთხი სტროფი მოხაზულია, მიწერილია: „ყალბია“. ბოლო სტროფის გასწვრივ: „კარგია“.

№ 5

კანზე: „ი. გრ. ნიკო ნიკოლაძე, (?) გვ. 145“.

№ 6

კანზე: „ი. გრ. 1939. 13–IX. 1. გორის ციხეზე – ველიჩკოსებურად, გვ. 51. II. მანონ ლესკო“.

№ 7

კანზე: „აკაკის ლექსი „ბორჯომი“; ა. ახნაზაროვი არჩევს „ონეგინის“ თარგმანს, გვ. 150; ხვედა, 144; მაჯამა, 137. ი. გრ“.

ჟურნალში დევს გაზეთ „კომუნისტის“ 1943 წ. 14 ივლისის ნომერი. არშიაზე: „ფრონტის“ თარგმანის გამო! ი. გრ“. გაზეთის მეორე გვ. დაბეჭდილია გრ. ნუცუბიძის წერილი „ა. კორნეიჩუკის „ფრონტის“ ქართული თარგმანის შესახებ“.

№ 8

კანზე: „ამილახვარის, 125. ი. გრ“.

№ 9

კანზე: „ჩემზე, 91; აკაკის სიტყვა, 151; „პატარა კახი“, 152“.

გვ. 150. არშიაზე: „აკაკი“. გვ. 152. „აკაკი რეჟისორობდა თავის პიესას“.

№ 10–11

კანზე: „1940. 11 I. ი. გრ“.

№ 12

კანზე: „გამოვიდა 1940 7/II. ლერმონტ.; ჩემზე, 155. ი. გრ“.

1940

№ 1

კანზე: „სრულია 1940 წ. ი. გრ“.

№ 2

კანზე: „ა. ჭ. კვალი არ დასტოვაო (ეს მე უთხარი) 86; ქორწილი, 78; ანტ. ყორღანოვის ლექსი „ბულბული მწუხარეობს“, 81; არმური, 72; მჭერმეთქვი, 75; ყონალი, 76; მურასა, 121“.

გვ. 69. არშიაზე: „ა. ჭ-ძის სტილი“.

გვ. 76. მოხაზულია აბზაცები და მიწერილია: „ყაზარდოელნი“.

გვ. 78. მოხაზულია გვერდი, არშიაზე: „ქორწილი“.

გვ. 123. ხაზგასმულია ადგილი, რომელიც ეხება „გამზრდელის“ 1913 წლის გამოცემას, არშიაზე: „1908 წელსაც გამოვიდა“.

№ 3

კანზე: „ა. ჭ-ზე, 117. ი. გრ“.

№ 4

კანზე: „დამიან ჭეიშვილმა მიფეშქაშა სახელგამში. 1940. 5 VI. ი. გრ“.

№ 5–6

კანზე: „აკაკის №-რი. მედეია, გვ. 170; გვ. 190 – ჩემი ლექსი; აკაკის კერძო წერილები (მ. დუდუჩავა); ხრაკოვი, 171; ა. ჭ – 238“.

გვ. 178. ხაზგასმულია: „იაკობი“, მიწერილია: „მანსვეტაშვილი“. მოხაზულია შენიშვნა, არშიაზე: „ფულიანი იყო დონ-იაგო“.

გვ. 190. მე-8 აბზაცში წერია: „პოეტმა გრიშაშვილმა აკაკის იუბილეს გამო დასწერა პატარა ლექსი „სახუმარო“, ჩამატებულია: „ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმულმა მწერალმა. ი. გრ“. ხაზგასმულია: „შევიშნე ჩვენი ვასიკო“, მიწერილია: „ვასო ედილაშვილი. ი. გრ“.

გვ. 192. მოხაზულია: „სტუდენტებმა გამოსცეს აკაკის ლექსების კრებული“, არშიაზე: „მაქვს“.

გვ. 196. ბოლო აბზაცის გასწვრივ ფანქრით: „შ. მესხიშვი“.

№ 7

კანის მე-4 გვ.: „1940 წ. სრულია“.

№ 9

კანზე: „შ. დადიანზე, 130. ი. გრ“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 1940. 29 XII“. აკაკის წერილები. დურნოვო და აკაკის ლექსი, 94; დ. ერისთავის „სამშობლო“, გვ. 121“.

გვ. 95. მოხაზულია: „გასალაშქრებლად“, არშიაზე: „გასაშალაშინებლად(?)“. მოხაზულია: „მედია“, არშიაზე: „მედია“. ხაზგასმულია: „მინდა აქაური არხივიდან“..., მიწერილია: „ხარკოვის არხივი“.

გვ. 123. წინადადებასთან: „მანვე „აღმოაჩინა“ ვ. ალექსი-მესხიშვილი თბილისის რუსულ სცენაზე“ ფანქრით: „ა. ცაგარ. მან აღმოაჩინა“. შენიშვნასთან: „სამშობლო“ ქართულად პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, № 10, 1881 წ. , მიწერილია: „1882. ამავე წელს გამოვიდა ცალკე“.

გვ. 124. სახელსა და გვარს: „მიხეილ ბებუთაშვილი“ შორის ჩამატებულია მამის სახელის ინიციალი: „პ“.

გვ. 125. მესამე აბზაცის გასწვრივ მიწერილია: „მე მაქვს პროგრამა“. ამავე აბზაცში მონაწილეთა გვარებს მიწერილი აქვს მოქმედ პირთა სახელები: „ვ. აბაშიძე – შაჰი, კ. მესხი – გოგია“. ხაზგასმულია: „სტყუი“, არშიაზე: „სცდები“.

გვ. 126. სქოლიო მოხაზულია და მიწერილი: „იხ. იუმორ. 5“.

გვ. 127. არშიაზე: „აკაკი „სამშობლოს“ შესახებ“.

გვ. 128. ხაზგასმულია: „გიორგი იშხნელს პირველ გამოსვლისთანავე ლევან ხიმშიაშვილის როლი მისცეს“, არშიაზე: „მართალია“.

№ 12

კანზე: „ჩემზე, გვ. 208“.

1941

№ 1

კანზე: „I. ჩემი ლექსი, გვ. 11. 2. ჩემზე (ა. ჭ) გვ. 149; დემონი – „დაფრთხნენ ლაჩრულად ქართველთა ყმანი“; სია წარსული წლის ნაწერების“.

№ 2

კანზე: „ი. გრ. 1941. 27/IV. ჩემზე (?) ბ. ჟღენტი. გვ. 120, 139–140, 148 (საბავშვო), 167“.

გვ. 63. ხაზგასმულია: „ბრწყინავს ვარსკვლავი“, წერია: „ეს რეფრენი – „ბრწყინავს ვარსკვლავი“ ჩემი თარგმანი რომანსია – ვანო სარაჯიშვილს. მღეროდა. ი. გრ“.

გვ. 64. ხაზგასმულია: „წარსულს, სავსეს განადგურებით“, მიწერილია: „ყველა? დ. აღმაშ“.

გვ. 65. ხაზგასმულია: „ვერ დაჩაგრული“, მიწერილია: „დაუჩაგვრელი“. მოხაზულია: „მისით უმწეო, უილაჯო და დამსხვრეული...“ მიწერილია: „ზმნა“. ხაზგასმულია: „და ჰკრეფენ ჩაის“, მიწერილია: „ჰკრეფენ ჩაის ფოთოლს“.

გვ. 66. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ონიქსით – სარდონიქსით“, მიწერილია: „რითმა ორივე უცხო?“

გვ. 67. მოხაზულია სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ცხოვრების გზაზე...“ მიწერილია: „კარგია!“

გვ. 76. ხაზგასმულია: „სამასწლოვანი ცაცხვებისა...“, არშიაზე: „ვინ გამოიანგარიშა“. ხაზგასმულია: „სცვიოდა ნიგოზი“, მიწერილია: „ნიგოზის ცვენა?“

გვ. 81. არშიაზე: „ამდენი წარწერა ერთ ქვაზე დაეტია?“ ხაზგასმულია: „ტაატით“, მიწერილია: „სიარულია“.

გვ. 82. ხაზგასმულია: „ფაკელები ავანთეთ“, მიწერილია: „ხან ძალიან ძველ სიტყვებს, ხან ამისთანა არაქართულს. მაშხალას რა სჯობია? ან ჩირაღს? ი. გრ“.

გვ. 83. მოხაზულია ბოლო აბზაცები, მიწერილია: „500 ბოლნელი სად დაეტეოდა ტაძარში?“.

გვ. 84. ხაზგასმულია: „ვერ პოვნა“, არშიაზე: „უპოვნელობა“.

№ 3

კანზე: „ი. გრ. 1941. 17/V. – პ. ინგოროყვას „იამბიკონი“, 115; გრ. აბაშიძის ორი კარგი ლექსი პირველი და ბოლო 24 და 29; ბერნსის შესანიშნავი ლექსები, 96. ი. გრ“.

გვ. 24. ლექსს „დიმილი“ მიწერილი აქვს: „როდამ ამირაჯიბს“.

გვ. 96. ლექსთან „ჯონ ანდერსონ“ ფანქრით: „იხ. გერბელი, გვ. 233“.

გვ. 115. ხაზგასმულია: „მარგალიტი“ და მიწერილია: „? ტალანტი“. ეპიგრაფის ქვეშ მიწერილია: „მიქელ და იოანე. იხ. მ. ჯანაშვილის „საუნჯე“, 1891. ეპიგრაფი“.

გვ. 137–139. არშიაზე: „ეს ხუთი სტროფი დაბეჭდა პირვ. მ. ჯანაშვილმა, იხ. „უკვდავთა ღალადებანი“, გვ. გვ. 97, 98“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1941. 2/VI“.

№ 5

კანზე: „ი. გრ. 1941. 27/VI“.

№ 6–7

კანზე: „ლერმონტოვის ნომერი. „დემონი“ კ. ჭ-ძის ნათარგმნი ორნაირ გამოცემად დაბეჭდა 1941 წ. „ფედერაციამ“. ი. გრ. 1941. 10/VIII“.

№ 8

კანზე: „ი. გრ. 1941. 15/IX. ჩემზე გვ. 155, 156. გრ. აბაშიძის რეცენზიაა“.

გვ. 156. ფსევდონიმთან: „მკითხველი“, „გრ. აბაშიძე“.

№ 9

კანზე: „ი. გრ. 1941“.

№ 10

კანზე: „ი. გრ. 1941. 1/XI. კ. გამსახურდიას წერილი, 155. 1. ვანო თუ სერგო? გვ. 160. 2. ხეხილის ხე? 109“.

გვ. 111. ხაზგასმულია: „ყუმბარა მოხვდა და რა თქმა უნდა ორად გაიტანა“ და მიწერილია: „შუაზე გაგლიჯა“.

გვ. 112. მოხაზულია: „ამას იქით“, მიწერილია: „ამიერიდან“.

გვ. 160. მოხაზულია და კითხვის ნიშნით აღნიშნული ავტორი: „ვანო გერსამია“, მიწერილია: „სერგო“.

№ 11

კანზე: „ი. გრ. 1941. 10/XII. ბაირონის ლექსი „ჩაილდ.“ გვ. 117; ქართველები 1812 წლის ომში, გვ. 134; იაშვილი და პავლე I, გვ. 138“.

გვ. გვ. 138–139. მოხაზულია და მიწერილია: „ჩემიდან“.

№ 12

კანზე: „ი. გრ. ვიყიდე 1942 16/I, ყეენობის მსგავსი, 146“.

გვ. 146. მოხაზულია ბოლო აბზაცები, არშიაზე: „ყეენობის მსგავსი“.

1942

№ 1

კანზე: „1942 წ. 20 II გამოვიდა. ი. გრ. 1. „ვისრამიანი“ რუსულად სამჯერ ითარგმნა, გვ. 136. 2. ბიბლიოგრ. „ქართულ წიგნზე“, გვ. 150. 3. ზ. ჭ-ძე. სოსო ჯულაშვი. და ილია ჭავჭავ. 52, 53“.

გვ. 52. ხაზგასმულია: „ზაქარია ჭიჭინაძეს ავჭალის ქუჩის ზევით, პარალელურ ქუჩაზე, თავისი სახლი ჰქონდა“, მიწერილია: „ამ დროს მთაწმინდაში ჰქონდა“.

გვ. 136. ხაზგასმულია: „(ვისრამიანი) გამოიცა ტფილისში 1884 წელს, რომლიდანაც შემდეგ გაკეთდა ინგლისური თარგმანი“, მიწერილია: „კიდევ ბევრი რუსული თარგმანი“. ხაზგასმულია: „ცნობილი ა. კრიმსკიც...“ მიწერილია: „რით არის ცნობილი?“

უნდა სთქვა“. ხაზგასმულია: „პროფ. ა. ხახანაშვილის კომპილაციურ შენიშვნას“, მიწერილია: „? ასე არ შეიძლება. ი. გრ“.

გვ. 139. ხაზგასმულია: „მნათობი“, 1925, № 4“, არშიაზე: „ვ. დონდუა?“.

გვ. 140. მოხაზულია: „ტრისტან და იზოლდას... ქართულ თარგმანებში...“ მიწერილია: „გ. ქ“.

გვ. 154. ხაზგასმულია: „ავტორი იქამდე გატაცებულია „აღმოჩენებით“, რომ ი. გრიშაშვილისა და შ. დადიანის „უცნობი ნაწარმოებების“ აღმოჩენაც კი მოუხერხებია“, არშიაზე: „მართლაც აღმოჩენაა! არავინ არ იცის და არც იშოვება საქართველოში ეს ჩვენი პირველი წიგნები“.

გვ. 156. მოხაზულია: „ბ. ს. მრეწველობის განვითარება“, არშიაზე: „ჭელიძე. ეს მეც მაქვს. ვინ არის ბ. ს“.

კანის მე-4 გვ.: „შეცდომა. გვ. 52. ამ დროს ზ. ჭ-ძე მგონი თუმანიშვილის ქუჩაზე არა ცხოვრობდა, არამედ მთაწმ“. გვ. 54, 57 მაშინ ჰუმკინის ბაღში შადრევანი მგონი არ იყო. გვ. 55. ეს გამოქვაბული მაშინ არ იყო“.

№ 2

კანზე: „ჩემზე, გვ. 126, ი. გრ. 1942. 10 IV. ეს ნომერი გასასყიდათ არ გამოსულა. ძლივს ვიშოვე, დამითმო სახელგამის სტამბის უფროსმა ამხ. ბარბაქაძემ. ი. გრ“.

№ 4

კანზე: „ი. გრ. 1942. 27 IV. გრ. აბაშიძის კარგი პოემა, გვ. 35; ეს პოემა უნდა დაიწეროს რომანად. ი. გრ.; სიმინდი – იმერლების სეფისკვერი, გვ. 98; საროსკიპო? გვ. 139“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „სხვა სათამაშო“, მიწერილია: „სათამაშონი“. ხაზგასმულია: „უჭმელ-უსმელმა ორ დღეს ვიარე“, მიწერილია: „ძუძუმწოვარმა ბაღმა იარა? ი. გრ“.

გვ. 38. ხაზგასმულია: „მეფემო“ და მიწერილი: „ნეფემო“.

გვ. 39. მე-8 თავის მეორე სტროფს მიწერილი აქვს: „კარგია!“

გვ. 40. მე-11 თავის არშიაზე: „ამდენი ძილი?“

გვ. 41. ბოლო სტროფის არშიაზე: „კარგია!“ ხაზგასმულია: „საყურე ყურთან“, მიწერილია: „საყურე ყოველთვის ყურზეა“.

გვ. 42. მე-7 სტროფი მოხაზულია და არშიაზე: „კარგია!“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „შეწყდა ქორწილი“, მიწერილია: „? ქორწილი?“ ხაზგასმულია: „ცეცხლით და ხანძრით“, არშიაზე: „ერთი და იგივე არ არის? ი. გრ“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „მეფეს“, მიწერილია: „თემურს“. ხაზგასმულია: „სამშობლოს მტრისგან მიჯობს სიკვდილი“, არშიაზე: „რატომ?“

